ბაზალეთის თემის მაჟორიტარი დეპუტატის,ვარლამ ჭიპაშვილის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2017 წლის მოწვევის საკრებულოში საქმინობას გასული წლის 20 ნოემბერს შევუდექი.თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში კოლეგებმა ამირჩიეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ და ამავედროს ვარ იურიდულ საკითხთა კომისიის წევრი.კარგად ვიცნობ მოსახლეობის პრობლემებს და საკრებულოს სხდომებზე ცალსახად ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს და წინადადებებს ამ პრობლემათა გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.მიმაჩნია,რომ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ,პრიორიტეტების სამართლიანად შერჩევის,საბიუჯეტო თანხების დაგეგმვისა და სოფლისთვის პრობლემატური საკითხების გააქტიურების დროს ჩემი ჩართულება მნიშვნელოვანი იყო. მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიათა მუშაობაში, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შევხვდი მოქალაქეებს და მივიღე განცხადებები, არაერთგზის შევიტანე შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე,ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში,შეკითხვებით მივმართე საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ მერს, სხვა თანამდებობის პირებს და მივიღე პასუხები,გამოვითხოვე საჯარო ინფორმაციები, რომელიც აუცილებელი იყო ჩემი უფლებამოსილების განსახორციელებლად.მოკლედ გაგაცნობთ იმ აქტივობებს,რომლებიც ჩემი მონაწილეობით განხორციელდა ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალური,ინფსრასტრუქტულული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით.

სოფელ წიფში მცხოვრები შველიძეების მრავალშვილიანი ოჯახის უსახლკარობის პრობლემა აქტიურად დავაყენე მერიის წინაშე.მნიშვნელოვანია,რომ მერიის გადაწყვეტილებით აღნიშნულ ოჯახისათვის შეძენილ იქნა საცხოვრებელი სახლი 10 000 ლარის ფარგლებში.

განცხადებით მივმართე აიპი „სათნოების სახლის“ ხელმძღვანელს,რის საფუძველზეც ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია ბაზალეთის თემში მცხოვრებ უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს.

ჩემი ინიციატივით,მოეწყო სამედიცინო აქცია-უფასო სამედიცინო გამოკვლევების მიზნით და უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტი ემსახურებოდა მოქალაქეებს ბაზალეთის თემის სოფლებიდან ხარაგაულის საავადმყოფომდე გადასაადგილებლად.

ვადამდე ადრე გადამოწმების შესახებ შუამდგომლობები გადავაგზავნე იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრში იმ ოჯახებთან დაკავშირებით,რომლებიც სამართლიან გულისწყრომას გამოხატავენ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას მაღალი სარეიტინგო ქულების მინიჭების თაობაზე.აღსანიშნავია,რომ რამდენიმე შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა შუამდგომლობა.სამწუხაროდ,ამ კუთხით პრობლემა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ჩვენი ხელისუფლებისათვის.

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე კატეგორიულად შევეწინააღმდეგე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში ცვლილებების შეტანის პროექტს,რომლის მიხედვითად იგეგმებოდა ერჯერადი ფინანსური დახმარებების ქვეპროგრამის გაუქმება და სხვადასხვა სოციალური შეღავათებისათვის დაწესებული მაქსიმალური ზღვარის შემცირება.ნიშანდობლივია,რომ საკრებულოს ერთსულოვანი პოზიცია გაგვაჩნდა ამ საკითხთან მიმართებაში.

ვითანამშრომლე სოციალური მიმართულებით მოქმედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან,რომელთაც დახმარება გაუწიეს მოქალაქეებს სოციალური აქტივობების ფარგლებში.

ჩემი აქტიური მონაწილეობით და მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, პრიორიტეტებად განისაზღვრა სოფელ ქროლისა და ღარიხევის ცენტრალური და სოფელ ბაზალეთის ზედა ნანიტაშვილების საუბნო გზების მშენებლობა.მისასალმებელია,რომ სამუშაოები წელსვე დაფინანსდა და ხორციელდება.

მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით მივმართე ააიპი „ხარაგაულკეთილმოწყობას“,რომელმაც უზრუნველყო სოფელ ბაზალეთის დევდარიანების უბანში გარე-განათების ქსელის მოწყობა.

სოფელ ბაზალეთში გაზიფიცირების სამუშაოების გაჭიანურების გამო მოსახლეობასთან შეხვედრაზე მოვიწვიე კომპანია „სოკარ-გაზის“ წარმომადგენელი.დღეის მდგომარეობით სოფელ ბაზალეთში გაზიფიცირების პროცესი პრაქტიკულად დასრულებულია და შესაბამისი სამინისტროს წინაშე სოფელ ღარიხევის გაზიფიცირების თხოვნა გავააქტიურეთ.

სოფლის ინტერნეტიზაციის წინადადებით დავუკავშირდი კომპანია“მაგთიკომს“,რომელიც დაგვპირდა რომ საკითხის შესწავლის შემდგომ მოახდენს რეაგირებას.

საკრებულოს სხდომაზე დავაყენე წინადადება სოფელ ღარიხევსა და ბაზალეთში ნაგვის ბუნკერებისა და ტექნიკური პერსონალის დამატებასთან დაკავშირებით ,რაც გათვალისწინებულ იქნა პასუხისმგებელი ორგანიზააციის მხრიდან.

პრობლემის სიმწვავიდან და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე წერილობითი განცხადება წარვუდგინე მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებს სოფელ წიფის ცენტრალური,სოფელ ღარიხევის ჭილოფისა და ბრუისის უბნების და სოფელ ბაზალეთის ჭიპაშვილების საუბნო გზების პროექტების შესყიდვის წინადადებით,რათა ფინანსური შესაძლებლობისთანავე შესაძლებელი იყოს მშენებლობების ჩატარება. სამწუხაროდ დადებითი გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა.

სტიქიით დაზარალებული ოჯახების შემოწმების მიზნით მოვითხოვე სპეციალისტის მოწვევა და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება.ამჟამად მოქალაქეები იმყოფებიან დახმარების მოლოდინის რეჟიმში.

შევხვდი სოფელ ბაზალეთის მაცხოვრებლებს,რომლებიც პროტესტს გამოხატავდნენ სარკინიგზო გვირაბის მშენებლობიდან გამოტანილი ნარჩენების სოფლის ტერიტორიაზე განთავსებით შექმნილი პრობლემების გამო.საქმის კურსში ჩავაყენე მშენებელი ორგანიზაციის,საქართველოს რკინიგზისა და გარემოს დაცვის სამსახურის წარმომადგენლები . მშენებელმა კომპანიამ საბოლოოდ აიღო პასუხისმგებლობა ,რომ მოსწორდება სანაყარო,სანიაღვრე არხი და მოწესრიგდება სოფელში მისასვლელი გზა.

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მივმართე სოფელ ბაზალეთში შესასვლელი-სარკინიგზო ლიანდაგის მიმდებარე ტერიტორიის 900 მეტრიანი პრობლემური მონაკვეთის მდგომარეობის შესახებ,რათა ერთიანი გზის (ღორეშა-ბაზალეთის) მშენებლობის ფარგლებში მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მშენებლობის მიღმა დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაციის თაობაზე.

წერილობით მოვახდინეთ მერიის ინფორმირება სოფელ ბაზალეთის ცენტრალური გზის დაზიანებების თაობაზე,რაც გამოწვეულია სხვა გზების მშენებლობის მიზნით მძიმე ტექნიკის გადაადგილების გამო.მერიიდან მიღებული პასუხის მიხედვით,მშენებელი კომპანია წერილობითაა გაფრთხილებული,რათა უზრუნველყოს დაზიანებების აღმოფხვრა.

სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის შემდგომ შესაბამისი სამსახურის წინაშე დავაყენე საკითხი ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გამოყოფილი სახსრებით კაპიტალურად მოეწყო სოფელ ბაზალეთის რკინიგზის უბნის გზა,ხოლო შერგელაშვილებისა და ქვედა ნანიტაშვილების საუბნო გზების მშენებლობა წელსვეა დაგეგმილი.პროცედურები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ეტაპზეა.მიმაჩნია რომ მუნიციპალურმა სამსახურებმა დროულად უნდა გაატარონ კანონიერი ღონისძიებები,რათა აღმოიფხვრას სტიქიით წარმოქმილი პრობლემები.

სოფელ ბაზალეთში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშთა მშობლების თხოვნის შესაბამისად გავააქტიურე საკითხი აიპი "სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების „ხელმძღვანელის წინაშე,რათა გამოიძებნოს საშუალება და ბაზალეთის საჯარო სკოლის ბაზაზე გაიხსნას სასკოლო მზაობის ჯგუფი.დღეის მდგომარეობით საკითხი დადებითად გადაწყდება.

ადგილობრივების ინფორმირების მიზნით სოფელში მივიწვიე სატყეო მეურნეობის წარმომადგენლები,რომლებმაც განაცხადეს რომ საშეშე მერქანზე ნებართვის მოპოვება უპრობლემოდ მოხდება,ხოლო სამასალე ხე-ტყეზე ხელმისაწვდომობა კვლავ შეუძლებელია,რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას.მოსახლეობისათვის სამასალე ხე-ტყეზე ხელმისაწვდომობისათვის აუცილებელია ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება,რაც საკრებულოს უფლებამოსილებას სცილდება.

როგორც ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვიშუამდგომლე მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე დახმარების თხოვნით ,რათა შევძლოთ უკეთილშობილესი ჩანაფიქრის განხორციელება და ბაზალეთელი ახალგაზრდების სურვილის შესაბამისად ელისო

ჭიპაშვილის სახლის მახლობლად გაკეთდეს სკვერი და მემორიალური დაფა გმირის მარად მოსაგონებლად.იმედია,ინიციატივა დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველო“ -ს ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის შესახებ მოვახდინე მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა მათი ინფორმირებისა და დაინტერესების მიზნით. სასიხარულოა,რომ ადგილობრივ მაცხოვრებლებში დაინტერესება გამოიკვეთა.

ჩემი ორგანიზებით სოფელში მოეწყო გარემოსდაცვითი და სპორტული აქტივობები,ჩატარდა ღვინის ფესტივალი და ასევე, წახალისდნენ სასოფლო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები.სათანადოდ ვთანამშრომლობ ბაზალეთის საჯარო სკოლასთან, სასოფლო ბიბლიოთეკასთან და ბაზალეთის საექიმო ამბულატორიასთან.

საკრებულოს წევრის საქმიანობის შედეგი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ახლოსაა იგი საზოგადოებასთან.ხალხთან კომუნიკაციისა და მათი ინფორმირების საშუალებები მთელი ამ დროის განმავლობაში იყო კოლექტიური შეხვედრები,ინდივიდუალური მიღებები,სოციალური ქსელი და დამოუკიდებელი გაზეთი „ჩემი იმერეთი“.

დეპუტატობა უდიდესი პასუხისმგებლობაა.მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას მოსახლეობისა და კოლეგების აქტიური თანადგომა მიადვილებს,მეტ სტიმულს მაძლევს და პასუხისმგებლობას მიძლიერებს.პირობას გაძლევთ,რომ ჩემი უფლებამოსილების ვადაში კვლავ გავაგრძელებ აქტიურ საქმიანობას.მწამს,რომ ერთად დგომით ბევრს შევძლებთ და სოფელს მეტად გავაძლიერებთ .

პატივისცემით,ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი

/ვარლამ ჭიპაშვილი/

10.09.2018 წელი